საქართველო
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო

GEORGIA
AUTONOMOUS REPUBLIC OF AJARA
MINISTRY OF FINANCE AND ECONOMY

www.mofea.ge

6018 ქ. ბათუმი, კომახიძის ქ. №119 ტელეფონი: (04 22) 27 35 10 (102) ფაქსი: (04 22 27 66 71)
6018 №119 Komakhidze str, Batumi, Georgia Tel: (04 22) 27 35 10 (102) Fax: (04 22 27 66 71)

3250-01-01-10-2-202207181622

https://edocument.ge/AdjaraGov/public

N 01-01-10/3250
18/07/2022

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს წევრს
ბატონ გია აბულაძეს

ბატონო გია,

თქვენი 2022 წლის 17 ივნისის N 09-02-16/360 სადეპუტატო კითხვასთან დაკავშირებით, რომელიც ეხება ხულო-ზარზმის გზის ხულო-გოდერძის უღელტეხილის მშენებლობას გაცნობებთ, რომ სამუშაოები მიმდინარეობს შემდეგ მონაკვეთებზე: ხულოს ცენტრიდან სოფელ დიდაჭარის ასახვევამდე მონაკვეთში ხორციელდება გზის გაფართოების, საყრდენი კედლების მოწყობის სამუშაოები. სამუშაოები მიმდინარეობს სხვადასხვა ლოკაციებზე მონაცვლეობით; პაქსაძეების ხიდიდან სოფელ დიოკნისამდე მონაკვეთში მიმდინარეობს გზის გაფართოების სამუშაოები რამდენიმე მონაკვეთში; რიყეთის თემში ორ ადგილას მიმდინარეობს საყრდენი კედლების მშენებლობა; სოფელ ზოძაურთან მიმდინარეობს გზის გაფართოებისა და მილხიდების მოწყობის სამუშაოები; სოფელ დანისპარაულში მიმდინარეობს გზის გაფართოების, საყრდენი კედლებისა და მილხიდების მოწყობის სამუშაოები; სოფელ დანისპარაულიდან გოდერძის უღელტეხილამდე მონაკვეთში ხორციელდება გზის გაფართოებისა და ხელოვნური ნაგებობების მოწყობის სამუშაოები.

აქვე გაცნობებთ, რომ ხულო-ზარზმის საავტომობილო გზის ხულო-გოდერძის უღელტეხილის მონაკვეთზე გზის სარეკონსტრუქციო სამუშაოები შესაძლებელია მიმდინარეობდეს მცოცავი ადგილმდებარეობით, რაც გამოწვეული იქნება ტექნიკური საჭიროებისა და სამშენებლო სამუშაოების ორგანიზებიდან გამომდინარე. დამატებითი ინფორმაციის მიღებისა ან კითხვების არსებობის შემთხვევაში უნდა მიმართოთ პროექტის განმახორციელებელ სახელმწიფო უწყებას.

პატივისცემით,

ჯაბა ფუტკარაძე

მინისტრი

.